საქართველოს სოფლის მეურნეობის
მეცნიერებათა აკადემია

GEORGIAN ACADEMY OF
AGRICULTURAL SCIENCES

სოლო – ბიოლოგიური თავისებურებები, გავრცელების არეალი, მოშენების ფორმები, ინკუბაცია, მოზარდის გამოზრდა, დაავადებები

(რეკომენდაციები)

თბილისი
2019

UDC (უაკ) 639.125.1+598.261

გ - 511

აღნიშნული რეკომენდაცია დაეხმარება სოღოს მოშენებით დაინტერესებულ სამონადირეო მეურნეობებს, ფერმერებს, მეფრინველეობის დარგის სპეციალისტებს და მოყვარულებს.

თანამედროვე პირობებში ადამიანის საქმიანობის გავლენა ბიოცენოზებზე მნიშვნელოვნად გაიზარდა, რაც არსებითად ვლინდება მათ ფუნქციონირებაზე. აქ არსებული ბუნებრივი კავშირების რღვევა განაპირობებს რა ცხოველებისა და ფრინველების სახეობრივ და რაოდენობრივ ცვლილებებს, საგრძნობლად ამცირებს სამონადირეო მეურნეობებისათვის გამოსაყენებელ რესურსებს. გარკვეული სახეობები, რომლებზეც არცთუ დიდი ხნის წინათ დაშვებული იყო ნადირობა, მათი რიცხოვნობის შემცირების გამო, ახლა უკვე გადადიან განსაკუთრებით დასაცავ, იშვიათ ან გაქრობის პირას მყოფ სახეობათა რიგებში. იქმნება საშიშროება, რომ სულ მოკლე ხანში, ისინი საერთოდ გაქრებიან პლანეტის ფაუნის გენოფონდიდან. სამწუხაროდ, ამის შემსწრენი არაერთგზის გავმხდარვართ, როდესაც ადამიანთა უგუნურობის გამო, ფრინველთა და ცხოველთა რიგებიდან უკვალოდ გამქრალან ძვირფასი სახეობები.

დღეისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გარეული ფრინველის სანაშენე მეურნეობების ორგანიზებას, რომლებიც არამარტო მოამარაგებენ სამონადრეო მეურნეობებს, არამედ ხელს შეუწყობენ სხვასხვა სახეობის გარეული ფრინველის გენოფონდის შენარჩუნებას. მეფრინველეობის ტრადიციული მიმართულებებისაგან განსხვავებით, გარეული ფრინველის ხელოვნურად გამრავლების დროს, დაუშვებელია პირდაპირ, მექანიკურად იქნას გამოყენებული ზოოტექნიკური ღონისძიებები. თუმცა ყველა შემთხვევაში მკაცრად უნდა იქნეს დაცული: მოვლა-შენახვის პირობები, კვების ნორმები, მოშენების მეთოდები, ინკუბაციის რეჟიმი და სხვა. ადსანიშნავია, რომ არსებობს გარკვეული ნიუანსები, რომლებიც დაწვრილებით ქვემოთ იქნება განხილული.

ავტორი: ანატოლი გიორგაძე - დოქტორი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის მოადგილე, სამეცნიერო განყოფილებების კოორდინატორი.

რედაქტორი: ელგუჯა შაფაქიძე, საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი აკადემიური დეპარტამენტის უფროსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

რეცენზენტი: მარინე ბარვენაშვილი საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო განყოფილებების სწავული მდივანი, სოფლის მეურნეობის დოქტორი.

ISBN 978-9941-8-1013-8

სსმმ აკადემიის გამომცემლობა “აგრო”

1. ჩვეულებრივი სოღო (ყრუალა) **(Tetrao ogallus** L**)**

<u>სოღო, ზოოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით, ფრინველთა კლასის, ქათმისებრთა რიგის, ხოხბისებრთა ოჯახის წარმომდგენელია.</u> მას სხვანაირად ყრუალასაც ეძახიან. ამის მიზეზი კი ის არის, რომ გამრავლების პერიოდში, როდესაც მამალი დედალს "თავს აწონებს" და ცდილობს ხმამაღალი ძახილით მოხიბლოს იგი, „ეშხში“ შესული ფრინველი დროებით კარგავს სმენასა და სიფხიზლეს, რის გამოც იგი ხშირად მონადირეთა ნადავლი ხდება.

სოღო მოზრდილი ფრინველია. გამოირჩევა დიდი მომრგვალებული კუდითა და ყელზე გრძელი ბუმბულით. ის ბინადრობს ევრაზიაში, შერეულფოთლოვან ტყეებში. ჩვენთან არ გვხვდება. ამ ფრინველის ყველაზე დიდი პოპულაცია რუსეთშია. მამლის ზომა 110 სმ-მდე აღწევს, გაშლილი ფრთებით - 140 სმ-ს, მასა მერყეობს 3,5 კგ- დან - 6,5 კგ-მდე. დედალი ზომით, დაახლოებით მამლის 1/3 - ს უტოლდება და 1, 7- დან - 3 კგ-მდე იწონის. მამლის კუდის სიგრძე 37 სმ-მდე აღწევს, ხოლო დედლის 17- დან 22 სმ-მდე. მამალ სოღოს თავი და კისერი მუქი შავი ფერისა აქვს, კისრის უკანა ნაწილი მონაცრისფრო, შავი წინწკლებით. შავი ფერის ზურგზე იკვეთება მუქი ნაცრისფერი წინწკლები, მკერდი მწვანე ფერისაა. სხეულის ქვედა ნაწილი მოფენილია შავი და თეთრი წინწკლებით. თვალის გარშემო კანი წითელი ფერისაა, ხოლო ნისკარტი მოთეთრო-მოვარდისფრო.

2. ქვის ანუ გრძელკუდიანი სოღო **(Tetrao** parvirostis Bon**)**

გარეგნობით, ეს ფრინველი ჩვეულებრივი სოღოს მსგავსია, თუმცა გარკვეული ნიშნებით მაინც განსხვავდება. კერძოდ, იგი უფრო მსუბუქი აღნაგობისაა, აქვს შედარებით გრძელი კუდი, შავი ნისკარტი და ბუმბულის განსხვავებული შეფერილობა. მამლის წონა მერყეობს 3 კგ-დან - 4 კგ-მდე, ხოლო დედლის 2 კგ-დან - 2,8 კგ-მდე. მამლის კუდის სიგრძე 29 სმ-დან - 40 სმ-ის ფარგლებშია, ხოლო დედლის - 16 სმ-დან - 30 სმ-ის ფარგლებში.

სოღო ძირითად დროს მაღალ წიწვოვან და შერეულ ფოთლოვან ტყეებში ატარებს. უყვარს კენკრით მდიდარი ადგილები. თითქმის არასდროს იცვლის ცხოვრების ადგილს. ურჩევნია ძირითადად, ერთ ამორჩეულ სეგმენტში ყოფნა. ხანდახან, დროებით გადაინაცვლებს ველში და შემდგომ ისევ უბრუნდება ჩვეულ სამყოფელს. დაფრინავს მძიმედ და ხმაურიანად, არ უყვარს გრძელი გადაფრენები. როგორც წესი, მთელ დღეს მიწაზე ატარებს, ღამეს ხეზე ათევს. აქვს კარგი მხედველობა და სმენა, ასე რომ მასზე ნადირობა საკმაოდ რთულია. გაზაფხულზე ძირითადად იკვებება ყვავილების ყლორტებით, ბალახით, მცენარის თესლებით, მწერებით და ტყის კენკრით. ზამთარში მის საკვებს - ფიჭვის, ნაძვის და სხვა მცენარეების წიწვები წარმოადგენენ. ყრუალა დებს 12-დან - 16 კვერცხამდე, ინკუბაციის პერიოდი 25-28 დღეა.

სოღოზე ნადირობა ხორციელდება ერთადერთი მეთოდით - მიპარვით. მასზე სანადიროდ გადიან ღამით, სრული სიბნელის დადგომისას, ღამის ხედვის ოპტიკური ხელსაწყოების გამოყენებით, რომელიც ბევრ ქვეყანაშია დაშვებული ამ ფრინველზე ნადირობისათვის. რუსეთში ყრუალაზე ნადირობა "სამეფო ნადირობად" მიიჩნევა. ამ ქვეყანაში იგი, ფრინველებს შორის, ყველაზე საყვარელი ნადავლია.

ბოლო წლებში შეინიშნება სოღოს რიცხოვნობის შემცირება, რაც როგორც უმრავლეს შემთხვევაში ხდება, გამოწვეულია ანთროპოგენური ფაქტორების ზეგავლენით. ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი სამონადირეო მეურნეობების გამოცდილებამ ცხადყო, რომ გარკვეული წესების დაცვის შემთხვევაში, სავსებით შესაძლებელია სოღოს პოპულაციების გაზრდა და სანადირო მარაგის შექმნა. ამისათვის საჭიროა მოხდეს ტყეების სწორი ექსპლუატაცია, რომლის დროსაც გათვალისწინებული იქნება სამონადირეო მეურნეობების ინტერესები. ასევე აუცილებელია გატარდეს გარკვეული ტიპის ბიოტექნიკური ღონისძიებები და შესაბამისი რეგულაციები აღნიშნული ფრინველის მოპოვების საკითხებში.

მართალია, სოღო საქართველოში არ ბინადრობს, თუმცა იგი იმდენად ჰგავს როჭოს, რომ შესაძლებელია გვეფიქრა მისი ინტროდუქცია და ამდენად საქართველოს სამონადირეო ფაუნის კიდევ ერთი საინტერესო სახეობით გამდიდრება. ამასთანავე გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო საქმეა და დიდ სიფრთხილეს მოითხოვს. მეცნიერული კვლევების გარეშე, დაუსაბუთებლად, სხვადასხვა სახეობის ფრინველისა თუ ცხოველის ინტროდუქციის განხორციელებამ, სიკეთის ნაცვლად, შესაძლებელია გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს არსებულ გარემოს. ცნობილია არაერთი ფაქტი, როდესაც ადამიანის გაუაზრებელი ჩარევის გამო, გარკვეულ ეკოსისტემაში, ფაუნის კონკრეტული წარმომადგენლის ჩართვის გამო, დარღვეულა ასწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებული კავშირები, რასაც მოჰყოლია არსებული სახეობების დეგრადაცია, ზოგჯერ კი სრული ელიმინაციაც. ყურადსაღებია ისიც, რომ ზოგჯერ ფრინველებისა და ცხოველების ჩასახლების შედეგად გამოწვეული უარყოფითი შედეგები, ხშირად მცენარეულობაზეც ვრცელდება. ჩვენს ქვეყანას ამის არაერთი მწარე მაგალითი ახსოვს.

სოღოს ხელოვნურ პირობებში გამრავლების პირველი მონაცემები ცნობილია 1905 წლიდან (ვ. კლემენი). დიდ ინტერესს იწვევს ასევე ე.ი. ლუკაშევიჩის (1908-1912 წ) მიერ ჩატარებული კვლევები, ხელოვნურ პირობებში სოღოს მოვლა-შენახვის შესახებ. შეიძლება ითქვას, რომ დღეისათვის საკმაოდ კარგადაა შესწავლილი სოღოს კვერცხის ინკუბაცია, დადგენილია მოზარდის ზრდა-განვითარების კანონზომიერებები, არსებობს მასალები აღნიშნული ფრინველის გამოზრდის და კვების მეთოდებზე.

მეცნიერების მიერ ჩატარებული კვლევების საფუძველზე დადგინდა, რომ სავსებით შესაძლებელია სოღოს მოშინაურება. სოღოს კვერცხის ინკუბაციას მკვლევარები აწარმოებდნენ ქათმის კრუხის ან მტრედის გამოყენებით, ზოგჯერ კვერცხებზე თავად დედალ სოღოსაც სვამდნენ. მოზარდს ზრდიდნენ, როგორც ბრუდერების ქვეშ, ასევე კრუხის ან სოღოს მდედრის საშუალებით. დაკვირვებებმა

ცხადყო, რომ ფრინველი ადვილად ეჩვევა შინაურ პირობებს და ნორმალურად ვითარდება. მისთვის დამახასიათებელია მალმწიფადობა, ხორცის კარგი ხარისხი და გამოსავლიანობა. ძირითადი საკვების სიიაფე, ბუდობისადმი ნაკლები სწრაფვა, ამარტივებს სოღოს გამოყენებას შინაური მიზნებისათვის. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ცდების მსვლელობის დროს, ზოგჯერ მოზარდისათვის არასათანადო საარსებო პირობების შექმნის გამო, მნიშვნელოვნად მაღალი იყო სხვადასხვა დაავადებით გამოწვეული სოღოს მოზარდის დაცემა.

3. ძირითადი გუნდის დაკომპლექტება

ხელოვნურ პირობებში, სოღოს ძირითადი გუნდის დაკომპლექტება, ისევე როგორც როჭოს შემთხვევაში, შესაძლებელია ორი გზით: 1) ფრინველს იჭერენ სამონადირეო სავარგულში და აჩვევენ ვოლიერში ცხოვრებას; 2) აწარმოებენ სამონადირეო სავარგულში შეგროვებული კვერცხის ინკუბაციას და მიღებული წიწილების გამოზრდას. ორივე ხერხს გააჩნია როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მხარეები. პირველ შემთხვევაში, ცუდი ისაა, რომ ყოველთვის ვერ ხერხდება ზრდასრული ფრინველის შეჩვევა ვოლიერში არსებული პირობებისადმი. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოზარდთან შედარებით, ზრდასრული ფრინველი გაცილებით მდგრადია სხვადასხვა ინფექციური დაავადებების მიმართ. საბოლოოდ, მაინც მეცნიერები მეორე მეთოდისკენ იხრებიან.

ბუნებაში დაჭერილ ზრდასრულ ფრინველს, თავდაპირველად ათავსებენ სპეციალურად მოწყობილ ვოლიერში. სასურველია, რომ ახლად დაჭერილ სოღოს თვალებზე რაიმე ჩამოეცვას, რათა იგი ნაკლებად მიეხეთქოს კედლებს. ასევე საჭიროა ფრთების შეკვრაც. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს ფრინველის ტრავმირების თავიდან აცილებას. გასათვალისწინებელია, რომ შეზღუდულ გარემოში სოღო ცუდად ჭამს საკვებს, ამიტომ საჭიროა მისი ძალით კვება. ამისათვის ფრინველს ოდნავ დასველებულ საკვებს უდებენ პირში და საჩვენებელი თითის დახმარებით გადაჰყავთ საყლაპავში, პარალელურად ახდენენ ჩიჩახვისა და კისრის მასირებას. საკვებად შეიძლება გამოყენებული იქნას ფიჭვის ან კედრის წიწვები, შვრიისა და წიწიბურას მარცვალი, ტირიფისა და ასპენის ყლორტები და სხვადასხვა ნაყოფი. ფრინველს კვებავენ დილას და საღამოს. არ უნდა დაგვავიწყდეს წყლის მიცემაც. მოგვიანებით, სოღო უკვე დამოუკიდებლად იწყებს საკვების მიღებას. აღნიშნულ ვოლიერში ფრინველს აჩერებენ სულ მცირე სამ დღეს, რათა იგი მიეჩვიოს შეზღუდულ გარემოში ცხოვრებას. მოგვიანებით იგი გადაჰყავთ სანაშენეებში. ფრინველის ტრანსპორტირება ხდება სპეციალური ყუთებით. დედლებს ათავსებენ წყვილ-წყვილად 60X60X30 სმ ზომის ყუთებში, ხოლო მამლებს ცალ-ცალკე, 80X30X50 სმ ზომის ყუთებში.

არსებობს სოღოს ძირითადი გუნდის ფორმირების კიდევ ერთი ხერხი, რომლის დროსაც სამონადირეო სავარგულებში იჭერენ სოღოს წიწილებს ან მოზარდს (სასურველია ფრინველის ასაკი იყოს 3-დან 15 დღემდე) და შემდგომ მათ ვოლიერებში

ზრდიან. ეს ხერხი მეტად ეფექტურია, რადგან ახალგაზრდა ფრინველი საკმაოდ ადვილად ეჩვევა ვოლიერში ცხოვრებას და დანაკარგიც საგრძნობლად მცირეა.

4. ზრდასრული ფრინველის შენახვა

სოღოს დაჭერილ ზრდასრულ ინდივიდებს თავდაპირველად ათავსებენ შედარებით ფართო ვოლიერებში, კვებავენ ბუნებრივი საკვებით და შეძლებისდაგვარად ნაკლებად აწუხებენ. როგორც კი ფრინველი შეეჩვევა შეზღუდულ სივრცეში ცხოვრებას, იგი გადაჰყავთ შედარებით მცირე ზომის ვოლიერებში და კვებავენ უფრო იაფი და ადვილად ხელმისაწვდომი საკვებით.

სანაშენე 100 ფრთა ფრინველისათვის ვოლიერის ფართობი უნდა იყოს დაახლოებით 450 მ^2 . მას უნდა გააჩნდეს მდელოს მცენარეებით დაფარული ფართო სეირანები და გადახურული ნაწილები, რომელშიც ფრინველი თავს შეაფარებს ზამთრის ცივ პერიოდში - დეკემბრიდან აპრილამდე. დანარჩენ დროს სოღო ატარებს სეირანებზე, სადაც ხდება მათი შეწყვილება, ბუდობა, წიწილების გამოჩეკა და გამოზრდა.

საკვები ზრდასრული სოღოსათვის იცვლება სეზონების მიხედვით. მთელი წლის მანძილზე მას ეძლევა მარცვლეული (შვრია, ხორბალი, სიმინდი) და მოცვის ნაყოფი (ცხრილი 1). ოქტომბრიდან აპრილის ჩათვლით ულუფაში უმატებენ ფიჭვის წიწვებს. აპრილიდან ოქტომბრის ჩათვლით კი კვებავენ სხვადასხვა მწვანე საკვებით (რბილი მარცვლოვნები, სამყურა, ტირიფის ყვავილები, ასპენის ფოთლები და სხვა). ზაფხულის პერიოდში სოღოს ულუფაში ჩნდება სხვადასხვა უხერხემლოც. გარდა ამისა ყურადღება ექცევა იმას, რომ ვოლიერებში მუდმივად იყოს კენჭები. მინერალურ საკვებს ფრინველს ძირითადად აძლევენ გაზაფხულზე და ზაფხულში.

ზრდასრული სოღოს საკვების საშუალო სადღეღამისო დანახარჯი

ცხრილი 1.

საკვები	საკვების საშუალო სადღეღამისო დანახარჯი სეზონების მიხედვით, გ			
	სიმშვიდის პერიოდი XI-III	მზადება გამრავლებისათვის III-V	გამრავლება V-VIII	თავისუფალი კვება VIII-XI
მოცვის ნაყოფი	100-180	110-210	130-230	130-220
ჭვავის, ხორბლის, სიმინდის მარცვალი	120-210	120-180	120-220	120-210
ფიჭვის ყლორტი	110-140	80-100	-	50-60

რბილი მარცვლოვნები, სამყურა და სხვა	-	-	70-90	40-50
ტირიფის ყვავილები	-	40-40	-	-
ასპენის ფოთლები	-	-	60-70	60-70

მარცვლოვნებიდან ფრინველი განსაკუთრებული ხალისით ჭამს შვრიას, ქერს, ხორბალს, წიწიბურას, ფეტვს, კანაფსა და მზესუმზირას. ზამთარში ეტანება ფიჭვის, კედრის, სოჭის, ნაძვის ყლორტებსა და წიწვებს, უარს არ ამბობს არყის ყლორტებზეც, შეექცევა ასევე შტოშის, წითელი მოცვის, მოცვის ნაყოფებს. ზაფხულში სოღოს შეიძლება მიეცეს სხვადასხვა ხისა და ბუჩქის ყლორტი, ნაყოფი და ცხოველური საკვები.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ზრდასრულ სოღოს საკვებად შეიძლება მიეცეს ბალახეული, როგორიცაა: მრავალძარღვა, კლდის დუმა, ცულისპირა, ფეტვი, ჟუნჟრუკი, ჩვეულებრივი მატიტელა, კიჭკიჭა, ასევე ტირიფის, მურყანის, გრაკლის ფოთლები. სოღო უარს არც ბოსტნეულზე ამბობს. ამიტომ მის ულუფაში რთავენ წვრილად დაქუცმაცებულ კომბოსტოს, კიტრს, სტაფილოს, ასევე ამლევენ სხვასხვა კენკროვნებს. ცხოველური საკვებიდან, ფრინველი როგორც წესი, მწერებსა და ჭიაყელებს ეტანება.

ვოლიერებში შენახვის პერიოდში ზოგიერთი მკვლევარის მიერ რეკომენდებულია შემდეგი დღიური ნორმა: შვრიის ან ხორბლის ბურღული 125 გ, მზესუმზირა 50 გ, დაჭრილი სტაფილო 30-50 გ, კენკრა (წითელი მოცვი, შტოში, ცირცელი ან ასკილი) 15 გ და შეუზღუდავად ვერხვის, ფიჭვის ან ღვიის ნორჩი ტოტები.

5. ინკუბაცია

ვოლიერში ან ტყის სავარგულებში არსებული ბუდიდან აღებული სოღოს განაყოფიერებული კვერცხის ინკუბაცია შესაძლებელია სამი ხერხით: 1) ბუნებრივად გამოჩეკის მიზნით, კვერცხს თავისსავე ბუდეში ტოვებენ; 2) სოღოს კვერცხზე კრუხად სვამენ სხვა სახეობის ფრინველს (ქათამს, ინდაურს, მტრედს); 3) კვერცხს ინკუბატორში, ხელოვნური ინკუბაციით ჩეკენ.

ბუნებრივი გზით, სოღოს წიწილების გამოჩეკის შესახებ კვლევები, ჯერ კიდევ 1860 წელს იქნა ჩატარებული ა. ხვატოვის მიერ. **XX** საუკუნის 50 წლებში ამ მეთოდით იქნა მიღებული სოღოს წიწილები კრუტოვსკების მიერ. ამ პროცესს ისინი შემდეგნაირად აღწერენ: ყრუალას ბოლოს წინა კვერცხის დადების შემდეგ ეწყებოდა კრუხობის პერიოდი და ჯდებოდა კვერცხებზე. პირველი 5 დღის განმავლობაში კვერცხების ტემპერატურა 36^0 C - დან 38^0 C-მდე მერყეობდა, ინკუბაციის დასასრულს კი როდესაც ფრინველი წყვეტდა კვერცხის გადაბრუნებას, ტემპერატურა 42^0 C აღწევდა. საინტერესო ფაქტია, რომ ბუნებრივი ინკუბაციის ხანგრძლივობა დამოკიდებულია

დედალი სოღოს ასაკზე და შეიძლება გაგრძელდეს 23-დან - 26 დღემდე, გამოტეხვა იწყება 1 დღე-ღამით ადრე.

ნაკრძალებში ინკუბაციისათვის ხშირად კრუხად დედალ სოღოს სვამენ. დადგენილია, რომ ამ დროს ინკუბაციის ანარჩენების პროცენტული რაოდენობა მცირეა. იგი არ აღემატება 4-5%-ს და ძირითადად გაუნაყოფიერებელ კვერცხზე მოდის. სავარაუდოდ, აღნიშნულ მეთოდს მომავალში სამონადირეო მეურნეობებში დიდი გამოყენება ექნება, როგორც ყველაზე გამართლებულს. სოღოს კვერცხებზე სხვა სახეობის ფრინველის (ქათამი, ინდაური, მტრედი) კრუხად დასმა ნაკლებად პერსპექტიულია, რადგან ამ გზით მიღებული წიწილების გამოსავლიანობა დაბალია, ვიდრე მაშინ როდესაც კვერცხს თავად სოღო ჩეკს. ამის მიზეზი კი ის არის, რომ სხვა სახეობის შინაური ფრინველები ხშირად ასნებოვნებენ სოღოს ახლად გამოჩეკილ წიწილებს სხვადასხვა ინფექციური და ინვაზიური დაავადებებით.

შედარებით პერსპექტიული მეთოდია სოღოს კვერცხის ხელოვნური ინკუბაცია. ამ დროს მაქსიმალურად არის აცილებული კვერცხისა და გამოჩეკილი წიწილის კონტაქტი ინფიცირებულ გარემოსთან, ასევე წიწილების დასნებოვნება სიცოცხლის პირველ დღეებში სხვადასხვა ინვაზიური დაავადებებით.

მეცნიერების მიერ სოღოს კვერცხის ინკუბაციის ერთ-ერთი აპრობირებული რეჟიმი ასეთია: ინკუბატორში იცავენ ტემპერატურულ რეჟიმს, რომელიც 37-37,5^0 C-ის ფარგლებში მერყეობს, ყოველი სამ საათში ერთხელ ხდება კვერცხიანი ყუთების გადაბრუნება. დილას და საღამოს კვერცხებს 20-30 წუთის განმავლობაში აგრილებენ 7-10^0 C-მდე, რომელიც იგივეა, რაც გარემომცველი ტემპერატურა. ინკუბაციის ბოლო დღეებში ინკუბატორში ტემპერატურას წევენ 34-35^0 C-მდე. ინკუბაციის ხანგრძლივობა 28-29 დღეა. აღნიშნული ინკუბაციის რეჟიმს იყენებენ სხვადასხვა ნაკრძალში.

6. მოზარდის ზრდა და განვითარება

ახლადგამოჩეკილი სოღოს წიწილის მასა 35-38 გრამია, სიგრძე 10-12 სმ, ფრთების სიგრძე 3-4 სმ, ტერფისა კი 2,6-დან 3,1 სმ-მდე მერყეობს. ღინღლის ფერი ფერფლისფერიდან და ყვითლიდან ნარინჯისფერამდე იცვლება, რომელსაც ზემოდან მოშავო ფერის წინწკლები და ზოლები ამჩნევია. წიწილს ყვითელი ფერის ფეხები აქვს, რომლებსაც წინიდან მუქი ფერის ზოლი გასდევს. ტერფი უკნიდან შიშველია. კუდის ბუმბული საერთოდ არ გააჩნია. საფრენი ბუმბული ჯერ კიდევ განუვითარებელია და დამალულია ფრთის ნაკეცის ქვეშ. მეორე დღეს წიწილს საფრენი ბუმბული შესამჩნევად ეზრდება და მისი სიგრძე 15 მმ-ს აღწევს. ბუმბულის ღეროდან გაზრდილი საფრენი ბუმბული ფერად ყავისფერია და თეთრადაა მოვარაყებული. ამ დროისათვის წიწილი უკვე მყარად დგას ფეხზე, კარგად დარბის და საფრთხის მოახლოების შემთხვევაში იმალება. იკვებება მხოლოდ ცხოველური წარმოშობის საკვებით, ხალისით ჭამს წვრილ მწერებს. მესამე დღეს წიწილს ეზრდება და თვალით შესამჩნევი ხდება მეორე რიგის საფრენი ბუმბული, რომელიც ყავისფერია და ორი განივი თეთრი ზოლი გასდევს.

მეხუთე დღეს უკვე ვლინდება წიწილების სქესობრივი დიმორფიზმი. მამალი უფრო მსხვილია, მასიური, უფრო მსხვილი ნისკარტით. მისი მასა საშუალოდ 48 გ-ია, ხოლო დედლის 46 გ. კუდის ბუმბული განაგრძობს ინტენსიურ ზრდას, საფრენი ბუმბული ელასტიურობას იძენს. წიწილი იწყებს ფრენას, მას შეუძლიათ საკვების მიწიდან აკენკვა. მეექვსე-მეშვიდე დღეს წიწილს უვითარდება მხრის ბუმბულის პირველი რიგი, რომელიც მხრის ზედა ნაწილში მუქი, წვეთის მსგავსი ლაქებითაა დაფარული და თეთრადაა მოვარაყებული. ამ დროისათვის მამლის მასა 50 გ-ს აღწევს, დედლისა კი 48 გ-ს. ათი დღის ასაკში მამალი საშუალოდ 100 გ-ს იწონის, დედალი 80 გ-ს. ფრთების სიგრძე აღწევს 95 მმ-ს, კუდისა - 20 მმ-ს. ფრთები თავისი ბოლოებით უკვე წვდება კუდის ფუძეს. იზრდება მხრის ბუმბულის მეორე და მომდევნო რიგებიც. მკერდზე ჩნდება პირველადი საფარის ჟღალი კონტურული ბუმბული. წიწილს შეუძლია იფრინოს 20-40 მ სიგრძის მანძილზე. დამალვის ინსტიქტი თანდათანობით ქრება. მე-15 დღისათვის მამლის მასა 150 გ-ს უტოლდება, დედლისა - 120 გ-ს, ფრთების სიგრძე 120 მმ-ია, ხოლო კუდის - 35 მმ. ჩნდება კუდქვეშა ბუმბული.

ახალგაზრდა ფრინველს შეუძლია გადაფრინდეს ერთი ადგილიდან მეორეზე. მე-20 დღეს მამლის მასა 265 გ-ია, დედლის - 180 გ. ზოგიერთი მამალი ამ დროს შეიძლება 400 გრამსაც იწონიდეს. მამლის ფრთების სიგრძე 145 მმ-ია, კუდის - 50 მმ. ფრინველის მთელი სხეული თითქმის დაფარულია პირველადი ბუმბულით, მხოლოდ თავზე ნარჩუნდება ღინღლი შენიღბული შეფერილობით. მუცელიც ჯერ კიდევ შეუბუმბლავია. 30 დღის ასაკში მთავრდება ემბრიონული ღინღლის შეცვლა პირველადი ბუმბულოვანი საფარველით. მისი შეფერილობა ემსგავსება ზრდასრული დედლის შეფერილობას. მამალს ამ დროს თავზე, კისერზე და მკერდზე უვითარდება გარდამავალი ბუმბული, რომელიც თავზე და კისერზე ფერფლისფერ-წაბლისფერია, ბოლოებზე თეთრი წინწკლებით, რაც შეეხება მკერდს, იგი წაბლისფერი ბუმბულითაა დაფარული. ამ ასაკის მამლის მასა საშუალოდ 470 გ-ია, დედლის 360 გ. მამლის ფრთების სიგრძე 200 მმ-ია, ხოლო კუდის 75 მმ. ახალგაზრდა ფრინველი კარგად დაფრინავს და შეუძლია ხეზე ჯდომა. საკვებში ჭარბობს მცენარეული წარმოშობის ინგრედიენტები. მამალს ეცვლება ხმა. 40 დღის ასაკში მამლის მასა 750 გ-ია, დედლის - 500-550 გ. ფრთების სიგრძე 26 სმ-ია, ხოლო კუდის 9 სმ. იწყება პირველადი ბუმბულოვანი საფარველის აქტიური ცვლა მეორეული ბუმბულოვანი საფარველით. ახალი შებუმბვლა ყველაზე ადრე კუდქვეშ ჩნდება. როდესაც სოღოს ასაკი აღწევს 50 დღეს, მამლის წონა 1 კგ-ს უტოლდება, ზოგჯერ 1,5 კგ-ს, ხოლო დედლის 800 გ-ს. მამლებს უწითლდებათ წარბები. ფრთების სიგრძე აღწევს 30 სმ-ს, ხოლო კუდის - 12 სმ-ს. ახალგაზრდა ფრინველი იკვებება იმავე საკვებით რითაც ზრდასრული ფრინველი. 2 თვის ასაკში მამლის მასა 1,5 კგ-ია ზოგიერთი 2 კგ-საც კი იწონის. ამ ასაკის დედლის მასა დაახლოებით 1 კგ-ია. განგური ვრცელდება მთელს სხეულზე. მამლის შეფერილია შავად, წითლად და წაბლისფრად. მას ეზრდება ეგრეთწოდებული წვერები. 80 დღის ასაკში მამლის მასა 2,3 კგ-ია, ზოგიერთის 3 კგ, დედლის 1,6 კგ. მამლის ფრთების სიგრძე 30 სმ-ია, კუდის - 25 სმ. განგური მთავრდება. ახალი შებუმბვლით ისინი ემსგავსებიან

ზრდასრულ ფრინველს. 100 დღის ასაკში მამლის მასა 3-3,5 კგ-ია, დედლის დაახლოებით 2 კგ. თავისუფლებაზე მყოფი ინდივიდები იწყებენ შეწყვილებას.

მეცნიერები სოღოს განვითარებაში გამოყოფენ სამ მნიშვნელოვან და საყურადღებო პერიოდს: 1) 20-დან 25 დღემდე პერიოდი, როდესაც ვითარდება პირველადი ბუმბულოვანი საფარველი. წიწილებისთვის ამ დროს მეტად მნიშვნელოვანია გარემოს ტემპერატურა, რომელიც არ უნდა იყოს მკვეთრად ცვალებადი და უნდა უტოლდებოდეს 15-25^0 C-ს. საკვების 95% ცხოველური წარმოშობის უნდა იყოს; 2) 20-25 დღიდან 45-50 დღემდე - იწყება განგური, წიწილები თანდათან სწავლობენ ფრენას, ტემპერატურული ფაქტორები კარგავს გადამწყვეტ მნიშვნელობის, საკვების 30%-ს შეადგენს მცენარეული წარმოშობის ბალახეული საკვები. 3) 45-50 დღიდან 120-150 დღემდე ზრდის ტემპი თანდათან კლებულობს. ამ პერიოდის მიწურულს დედლებში ის ფაქტიურად მთავრდება, ხოლო მამლებში გაზაფხულამდე გრძელდება. ფრინველი თანდათანობით სქესობრივად მწიფდება. მამლები შემოდგომაზე იწყებენ შეწყვილებას; მთავრდება პირველადი შებუმბვლის შეცვლა მეორადით. ცხოველური საკვებით კვება კარგავს თავის მნიშვნელობას და ფრინველი მთლიანად გადადის მცენარეულ საკვებზე.

7. მოზარდის გამოზრდა

სოღოს წიწილების გამოზრდა ვოლიერში შენახვის დროს, ყველაზე ძნელი და საპასუხისმგებლო საქმეა. ამ მიმართულებით სხვადასხვა მკვლევარის მიერ არაერთი კვლევაა ჩატარებული და ყოველთვის შეინიშნებოდა მოზარდის დიდ სიკვდილიანობა. აღნიშნული ძირითადად ფიქსირდება სიცოცხლის პირველ დღეებში, პირველი განგურის დროს ანუ დაახლოებით სამი თვის ასაკში. მეცნიერთა უმრავლესობა სამართლიანად თვლის, რომ მოზარდეულის სიკვდილი გამოწვეულია სიცოცხლის პირველ დღეებში ფრინველის შენახვისა და კვების არასწორი რეჟიმით. ისინი ამავე დროს აღნიშნავენ, რომ ინფექციური დაავადებები, ამ შემთხვევაში მეორადი მიზეზია და ფრინველის დასნებოვნება უფრო მეტად დასუსტებული რეზისტენტობის გამო ხდება. აქედან გამომდინარე ნათელია, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სოღოს მოზარდის შენახვისა და კვების რაციონალური მეთოდების შემუშავება.

ჩატარებული კვლევებით დადგენილია სოღოს მოზარდის გამოზრდის სამი ძირითადი მეთოდი: 1) წიწილების შენახვა მდედრ სოღოსთან ერთად ბუნებრივი ბალახეული მცენარეებით დაფარულ ფართო ვოლიერებში; 2) წიწილების შენახვა ქათმის ან ინდაურის კრუხთან ერთად იგივე ტიპის ვოლიერებში; 3) წიწილების გამოზრდა ბრუდერის ქვეშ. ყველა ზემოთ აღნიშნულ მეთოდს გააჩნია, როგორც დადებითი ასევე უარყოფითი მხარე, რაც გარკვეულწილად განპირობებულია კვერცხის ინკუბაციის მეთოდით.

როდესაც სოღოს წიწილების გამოზრდა ხდება ფართე სეირანის მქონე ვოლიერებში, სადაც არის კარგი მცენარეული ნარგაობები და საკმარისი ოდენობით წვრილი უხერხემლოები, სიცოცხლის პირველ დღეებში დიდი მნიშვნელობა ენიჭება

აუცილებელ ძირითად საკვებს, მდედრი სოღო კი თავის მხრივ ზრუნავს რა საკუთარ წიწილებზე, უზრუნველყოფს მათი სხეულისათვის აუცილებელ ტემპერატურას. ამ დროს მოზარდისთვის ძირითად საფრთხეს წარმოადგენს ეპიზოოტები, რომელიც შეიძლება გაჩნდეს დაინფიცირებული ნიადაგიდან ან დაავადების მატარებელი დასნებოვნებული ზრდასრული ფრინველისაგან. ასევე საყურადღებოა ზოგიერთი ჯგუფის ჰელმინთებით ან უმარტივესი ორგანიზმებით გამოწვეული პარაზიტული დაავადებები. როდესაც სეირანის ფართობი ვოლიერებში შეზღუდულია, იგი მოზარდზე გაცილებით ცუდად მოქმედებს, ვიდრე ზრდასრულ ფრინველზე. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოოჰიგიენური მოთხოვნების დაცვით, დაავადების გადამტანებთან შესაბამისი ბრძოლით, სავსებით შესაძლებელია შემცირდეს ეპიზოოტების გავრცელების ალბათობა.

ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ სოღოს კვერცხის ბუნებრივი ინკუბაციის დროს, როდესაც კრუხად თავად სოღოა, შესაძლებელია სულ რაღაც 13-მდე საინკუბაციო კვერცხის მიღება. ხოლო როდესაც ხელოვნური ინკუბაციისათვის ბუდიდან პერიოდულად კვერცხს იღებენ, ფრინველი აგრძელებს კვერცხდებას და მაშინ მიღებული საინკუბაციო კვერცხის რაოდენობა 60-მდეც აღწევს.

სოღოს წიწილების გამოზრდისას, როდესაც კრუხად ქათამი ან ინდაურია, გაცილებით მეტ დანაკარგს აქვს ადგილი. მაგალითად, ქათამი არასწორად გებულობს სოღოს წიწილის ძახილს, რომლითაც იგი კრუხისგან ფრთის ქვეშ გასათბობად, თავშესაფარს ითხოვს. ხშირად ამ ხმას ქათამი შეცდომით საკვების ძებნისკენ მოწოდებად ღებულობს. ამ დროს კი სოღოს წიწილი შეიძლება დაიღუპოს სხეულის გადაცივების გამო. ასევე ხშირია შემთხვევები, როდესაც ქათამი წიწილს ფეხით ჭყლეტს.

შედარებით პერსპექტიულია სოღოს წიწილების გამოზრდა ბრუდერის ქვეშ, როდესაც ინკუბატორში გამოჩეკილ წიწილებს ზრდიან სპეციალური გამათბობლის დახმარებით და კვებავენ საგანგებოდ მომზადებული საკვებნარევით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბრუდერებში ტემპერატურული რეჟიმის რეგულირებას და წიწილების უზრუნველყოფას ცხოველური წარმოშობის საკვებით, მათი სიცოცხლის პირველ დღეებში. უნდა აღინიშნოს, რომ ამ დროს ეპიზოოტიების გაჩენის ალბათობა ძალიან დაბალია. გარდა ამისა ამ მეთოდით ერთი სოღოსაგან შეიძლება უფრო მეტი წიწილის მიღება, ვიდრე ბუნებრივი გამოზრდის დროს. საინტერესოა, რომ სოღოს წიწილს იმავე ტიპის ბრუდერის ქვეშ ზრდიან, როგორითაც ხოხბისას.

პირველი 15 დღის განმავლობაში სოღოს მოზარდს კვებავენ კვერცხის ომლეტით, რომელშიც შერეულია წვრილი მწერები, 15-დან 45 დღემდე კი ნარევით, რომელსაც უმატებენ ჭიის ფქვილს და სხვა მწერებს. ნარევის შემადგენლობაში შედის ომლეტი, ფაფა, შეორთქლილი ხორბალი, ხორცი, თევზი, ხაჭო, დაქუცმაცებული სტაფილო, კომბოსტო, სამყურა, რბილი მარცვლოვნები, თევზის ქონი და სხვა. 60-დან 90 დღის ასაკის მოზარდს ეძლევა იგივე საკვებნარევი, რაც 15-დან 45 დღის ასაკის ფრინველს,

რომელსაც უმატებენ რძიანი მწიფობის ფაზის ჭვავს, ვერხვის ფოთლებს და შტოშის ნაყოფს. ამის შემდეგ მოზარდი გადაჰყავთ ზრდასრული ფრინველის საკვებზე. მნიშვნელოვანია, რომ მოზარდს მთელი გამოზრდის მანძილზე ეძლევა კვერცხის ნაჭუჭი და დაფშვნილი ნიჟარა, ასევე მსხვილი ფრაქციის სილა, მოგვიანებით კი კენჭებიც.

8. სოღოს ხორცის შემადგენლობა

სოღოს ხორცი მუქი ფერისაა, გემრიელია და წვნიანი, თუმცა თავისებური, ოდნავ მომწარო, წიწვის გემო დაჰკრავს. ამის გამო, ხორცს მომზადებამდე ამარინადებენ, ან უშუალოდ მომზადების პროცესში ცოტაოდენ ძმარს ამატებენ.

სოღოს ხორცი იძენს ბევრად კარგ საგემოვნო თვისებებს, როდესაც მის გამოუშიგნავ ტანხორცს თავით კიდებენ ცივ ადგილას და ასე აჩერებენ 2-3 დღის განმავლობაში.

სოღოს 100 გ ხორცის კვებითი ღირებულება

ცხრილი 2.

ცილები გ	ცხიმები გ	ნახშირწყლები გ	ნაცარი გ	წყალი გ	კალორიულობა კკალ
18	19	0, 6	0,9	64	255

9. დაავადებები

სოღოს დაავადებებიდან, რომლითაც იგი სამონადირეო მეურნეობებში ავადდება, ცნობილია ენტეროჰეპატიტი, ჩიჩახვის კატარი, ასკარიდოზი, ფეხების ქეცი, ბღერით ინფიცირება.

ენტეროჰეპატიტი - ბრმა ნაწლავისა და ღვიძლის ანთება, ხშირ შემთხვევაში იწვევს მათი ქსოვილების ნეკროზს. აღნიშნული დაავადებით მეტწილად სნეულდებიან ახალგაზრდა ინდივიდები. დაავადება ძირითადად ჩნდება მაშინ, როდესაც საკვები ულუფა არ შეიცავს კენკროვნების ნაყოფებს. სავარაუდოდ მისი გამომწვევი არის მარტივი პარაზიტი ჰისტომონასი. ფრინველი კარგავს ჭამის მადას, მოთენთილია და ფრთებჩამოყრილი. ავადმყოფ ფრინველს აღენიშნება ფაღარათი. დაავადება ხშირად მწვავედ მიმდინარეობს. დიაგნოზი ისმება დაცემული ფრინველის პათანატომიური შესწავლის შემდეგ. მისი ბრმანაწლავი შებერილია და გადიდებული, აღინიშნება ლორწოვანი გარსის ანთება დანეკროზებული კერებით. ღვიძლი გადიდებულია, შეინიშნება მოთეთრო ან მოწაბლისფერო ნეკროზული კერები. ამ დაავადების მკურნალობის ღონისძიებები შემუშავებული არ არის. დამხმარე საშუალებას წარმოადგენს საკვებად კენკროვნებისა და მწვანილის მიცემა. მოზარდი ავადდება დაავადებულ ზრდასრულ სოღოსთან, ქათამთან ან ინდაურთან კონტაქტის გამო.

ჩიჩახვის კატარი - ჩიჩახვისა და კუჭის კატარალური ანთება. დაავადების გამწვავება გრძელდება 3-4 დღე. ფრინველი მოთენთილია, კარგავს ჭამის მადას. ჩიჩახვი ზომაში იმატებს. ფრინველს აწუხებს ძლიერი წყურვილი. ბუმბული ებურძგნება. სკორე უთხელდება და მწვანე ან წაბლისფერ შეფერილობას ღებულობს. ფრინველი სწრაფად სუსტდება, უჭირს მოძრაობა, ჩიჩახვიდან არასასიამოვნო, სპეციფიკური სუნის მქონე სითხე გადმოდის. დაავადება ფრინველის დაცემით მთავრდება.

ფრინველის გაკვეთით დგინდება მთელი საჭმლის მომნელებელი სისტემის კატარალური ანთება. ჩიჩახვში დამპალი საკვები და სითხეა. ფრინველის დაცემა სავარაუდოდ გამოწვეულია ორგანიზმის საერთო ინტოქსიკაციით. ამ დაავადების მკურნალობის ღონისძიებები შემუშავებული არ არის.

ასკარიდოზი - დასნებოვნება ხდება ასკარიდას ჭიებით. დაავადება იწვევს ფრინველის გამოფიტვას. სიკვდილიანობა იშვიათია. ზოგჯერ გვხვდება მრგვალი ჭიებით დასნებოვნების შემთხვევებიც.

ფეხების ქეცი - დაავადება იწვევს ფეხებზე ბუმბულის ცვენას. გაშიშვლებულ ადგილებზე წარმოიქმნება ფუფხი. დაავადებულ ფრინველებს უჭირთ სიარული.

ბღერით დასნებოვნება - ფრინველს ცვივა ბუმბული, ალაგ-ალაგ კანი უშიშვლდება, ეპიდერმისის ზოგ ადგილას მიმდინარეობს ანთებითი პროცესი.

10.მსგავსება და განსხვავება სოღოსა და როჭოს შორის. მათი სახეობათაშორისი ჰიბრიდი

როგორც სოღო, ასევე როჭოც ფრინველთა კლასის, ქათმისნაირთა რიგის და ხოხბისებრთა ოჯახის წარმომადგენელია. ორივე სამონადირეო ფრინველებს მიეკუთვნება. როჭოს საარსებო არეალი უფრო ფართოა და პოპულაციები ბევრად უფრო დიდი, ვიდრე სოღოსი. ამ ორ მონათესავე სახეობას შორის გარეგნობის მიხედვით ბევრი განმასხვავებელი ნიშანია. განსხვავდება მათი ხორციც.

უპირველეს ყოვლისა ყურადღებას იქცევს მათი ზომა. სოღო გაცილებით დიდია, ვიდრე როჭო. ზრდასრული სოღოს სხეულის სიგრძე შეიძლება ერთი მეტრიც კი იყოს, საშუალო მასა 5 კგ, მაშინ როდესაც როჭოს მასა სულ რაღაც 1,2-1,6 კგ-ია, ხოლო სიგრძე ნისკარტიდან კუდამდე მხოლოდ 55-60 სმ. სოღოს სხეული დაფარულია შავი-წაბლისფერი ბუმბულით, ლურჯ მკერდს მწვანე ელფერი დაჰკრავს. კუდთან შეემჩნევა თეთრი წინწკლები.

მამალი როჭო დაფარულია შავი ბუმბულით. მკერდზე მომწვანო-მოლურჯო ელფერი დაჰკრავს, ფრთებზე აღენიშნება თეთრი წინწკლები. დედალი როჭოს შეფერილობა მრავალფეროვნებით გამოირჩევა. რუხი ფერის ბუმბულზე აღენიშნება წაბლისფერი, ნაცრისფერი და მწვანე წინწკლები.

როჭო სოღოსაგან განსხვავდება კუდის მოხაზულობით. სოღოს კუდს მომრგვალო ფორმა აქვს, ხოლო როჭოს კუდი ინდაურისას ჰგავს და ქნარის ფორმა აქვს.

სოღოს საბინადრო გარემო ფოთლოვანი და წიწვოვანი ტყეებია, რომლებიც ჭაობიანი ნაპირების გასწვრივ იზრდება. ასეთი ადგილები მდიდარია სხვადასხვა კენკროვნებით, რომლებიც სოღოს ძირითად საკვებს წარმოადგენს. მას ასევე უყვარს წიწვები. როჭოს საბინადრო გარემო კი შედარებით მეჩხერი ტყეებია, ასევე ბუჩქნარი, მდინარეების გასწვრივ, ტყესტეპის ზონები. მას ძალიან უყვარს არყის ხის კვირტები, ამიტომ მისი ნახვა ხშირად არყნარში შეიძლება.

სოღო არაგადამფრენი ფრინველია. დროის უმეტეს ნაწილს მიწაზე ატარებს და ხეზე მხოლოდ ღამის გასათევად ფრინდება. მას უჭირს ფრენა და მხოლოდ რამდენიმე ათეულ მეტრზე თუ ახერხებს ამას. როჭოც არაგადამფრენი ფრინველია, თუმცა საკვების მოსაპოვებლად შეუძლია შორეულ მანძილზე, 10 კმ-ზეც კი გადაფრინდეს.

სოღოზე ნადირობა კარგია გაზაფხულზე, როდესაც მისი გამრავლების პერიოდი დგება. სოღო პოლიგამური ფრინველია. როდესაც მამალი შეწყვილებისათვის ემზადება იგი კარგავს სიფრთხილის შეგრძნებას, რაც მონადირეებს აძლევს მასთან ახლო მანძილზე მიახლოების საშუალებას. როჭო პოლიგამურია ფრინველია. მასზე ნადირობა გაცილებით რთულია, რადგან ის ყოველთვის ფრთხილია და მასთან მიახლოება ადვილი არ არის.

აღსანიშნავია, რომ სოღო და როჭო ერთმანეთს ეჯვარება. მათ ჰიბრიდს რუსულად **„Межняк“**, ხოლო ლათინურად **“Tetrao medius”**-ს უწოდებენ. ჰიბრიდი გარეგნულად მდედრობითი სქესის მშობელს ემსგავსება. სოღოს და როჭოს ნაჯვარი უნაყოფოა. იგი უფრო მსხვილია და ძლიერი ვიდრე როჭო. შეწყვილების პერიოდში, ხშირად მამალ როჭოს დედალთან მიახლოების საშუალებას არ აძლევს.

ჩვეულებრივ ჰიბრიდების გაჩენას ამა თუ იმ ზონაში განაპირობებს ერთი ან მეორე სახეობის მამლების არასაკმარისი რაოდენობა, რაც ინტენსიური ნადირობით შეიძლება იყოს გამოწვეული. ამიტომ მდედრები მონათესავე სახეობის მამრებს უწყვილდებიან. როჭოსა და სოღოს მდედრები გარეგნულად ძლიერ გვანან ერთმანეთს.